ახალი

გურიალი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

30 სექტემბერი - 12 ოქტომბერი 2015 წელი №18 №8100 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

Fest i Nova 2015 G-15

მე-7 საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი პირველ ოქტომბრამდე გაგრძელდება.

გვ2.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებს, იბეჭდება რეიონის ცხოვრებას, ხალხს ეს უნდა უკითხოს ჭრიალა, ჯანს ჩვენი ცხოვრების შეფასებული მაცოცხლებ ... გამოიწერეთ "ახალი გაზეთი" და გახლით ჩვენი მკითხველი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, დაფინანსებით გვ2.

საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გვ2.

ჩვენი პასუხისმგებლობა გვ2.

გარეგანათების სამუშაოები გრძელდება გვ4.

ჩვენი წარსულიც გვიანდელ-ჩენილი გვ3.

საუკუნოვანი იუბილე გვ2.

"ცაცოცხლე ცაყვლილიც შემლეგ" გვ5.

რაიონული პირველობა მინი-ფეხბურთში გვ6.

ოლიმპიკ ტირიან მართვეები ... გვ6.

ერთად ყოფნიც ცხოვრობით გვ7.

ერთ მხრივ შვილი, ერთმეორე ჭეშმარიტი და მეგობარი გვ4.

ერთმანეთი გვ4.

ესპრის "გაზეთი -2000" _ თბილისის ლიგის გამარჯვებული გვ6

„ახალი გაზეთი,, იძლევა ბეჭდვითი ფოტოებს ბეჭდვითი ფოტომასალის შეხვედრილია. თხოვნით მიმართავთ თანხმობილებს - ფასდაკლებით ჯვალი! გამოგვიგზავნეთ ბეჭდვითი ფოტოები!

Fest i Nova 2015 G-15

19 სექტემბერს სოფელ ახალქალაქში, არტვილა გარიყულაში, ძმებ ზდანევიჩების სახელობის მე-7 საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ უცხოელი და ქართველი მხატვრები, უკრაინის ელჩი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ადგილობრივი მაცხოვრებლები, სტუმრები.

ფესტივალზე არტვილა გარიყულაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანების მიერ შექმნილი თანამედროვე ნამუშევრებია წარმოდგენილი. ყველა პავილიონთან მნახველები საკუთარ აზრს აფიქსირებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენამ დამთვალიერებლებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

წელს არტვილა გარიყულა 15 წლის იუბილეს აღნიშნავს. არტვილა გარიყულა თანამედროვე ხელოვნების პირველი რეგიონული ცენტრია საქართველოში, რომელიც 2000 წელს, თბილისელი მხატვრისა და პედაგოგის, ყარამან ქუთათელაძის ინიციატივით კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში დაფუძნდა.

მე-7 საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი პირველ ოქტომბრამდე გაგრძელდება.

საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად

ქალაქ კასპში სააკაძის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მეოხი" ასრულებს. მაგისტრალის სიგრძე 1120 მეტრია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მასზე 440 870 ლარი დაიხარჯება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წელს დარჩენილი ქუჩების საკანალიზაციო სისტემის მოწყობის პროექტირება მოახდინა. დარჩენილი ქუჩების სამუშაოები გაგრძელდება მანამდე, ვიდრე სისტემა სრულად არ დასრულდება. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ემსახურება, ამდენად, ჩვენთვის ამ პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა დიმიტრი ზადიშვილს, რომელსაც დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, დაბადების დღე მიულოცა და საჩუქარი გადასცა.

დიმიტრი ზადიშვილი გამყოფი ხაზისპირა სოფელ ზადიაანთკარის მაცხოვრებელია. დიმიტრიმ დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეები გამოიარა და მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა მუშაობა კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობაში განაგრძო. როგორც თავად იხსენებს - ის კეთილსინდისიერად მსახურობდა, ვიდრე შეეძლო.

იუბილარს დაბადების დღე სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუკრი მიდელაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში ვლადიმერ გოჭოშვილმაც მიულოცეს.

გილოცავთ!

საუკუნოვანი იუბილე

- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური პროგრამის ერთ-ერთი მუხლი 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებისათვის ყოველწლიურად 300 ლარის გადაცემას ითვალისწინებს, - აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, - ბატონი დიმიტრი ზადიშვილი წელს პირველად მიიღებს ამ საჩუქარს, გულითადად ვულოცავთ მას საუკუნოვან იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, დაფინანსებით

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების სამუშაოები, რომლითაც სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილების შედეგად მიღებული გადაუდებელი პრობლემები უნდა მოგვარდეს.

კასპის მუნიციპალიტეტის სამთავისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 3 პროექტი ხორციელდება. სოფელ ბოჟამში სასმელი წყლის არსებულ სათავეზე ეწყობა შემკრები ჭა, ხოლო სოფელ სამთავისის წყალშემკრები რეზერვუარიდან, სოფელ თოგოიანში სასმელი წყლის შიდა ქსელი ეწყობა.

ორივე პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს შპს "მშენკომპლექსი" აწარმოებს და მათზე 14 239 ლარი დაიხარჯება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ჩვენი პასუხისმგებლობა

კასპის მუნიციპალეტის გამგეობის, საკრებულოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებმა აქციის ფარგლებში ,,დავასუფთაოთ მსოფლიო" დაასუფთავეს - მეტეხის და კასპი - კავთისხევის მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია.

აქციაში ასევე მონაწილეობდა შპს "კასპის კეთილმოწყობა", რომელმაც აქციის მონაწილეები ტომრებითა და ხელთათმანებით უზრუნველყო და ნარჩენების ტომრები დასუფთავებული ტერიტორიიდან გაიტანა.

18-19 და 20 სექტემბერი "მსოფლიო დასუფთავების" დღეა. აქცია ტარდება ყოველ სექტემბერს და მასში 134 ქვეყანა მონაწილეობს.

საქართველო მსოფლიო კამპანიას 2010 წელს შეუერთდა და ის რიგით 121-ე ქვეყანაა, რომელიც დატანილი იქნა მსოფლიო გარემოსდაცვით რუკაზე. 2015 წლის სექტემბრის მსოფლიო კამპანიის მოწოდებაა: "ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობაა."

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეხისჯასთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გვმოიწერეთ "ახალი გზა" და გახდით ჩვენი მკითხველი!

,,ახალი გზა,, ეძებს ადამიანებს, რომლებსაც ხელოვნებაში ჩვენთან ერთად ფოტო-მასალა შეგვაქვთ. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში!
გვმოგვიგზავნეთ ადამიანები და ახალი ფოტოები!

ორბელიანები ლამისყანაში

✦ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი წერა-კითხვას ასწავლიდა ლამისყანელი გლეხის შვილებს – ჩვენს წინაპრებს. ორბელიანებმა ლამისყანის სასახლეში მოაწყვეს პირველი დაწყებითი სკოლა.

✦ ორბელიანებმა ლამისყანაში საფოსტო მომსახურებას ჩაუყარეს საფუძველი. ეს 140 წლის წინ იყო. დღეს სოფელში ფოსტა არ არის.

✦ ,,ტოლანაურის,, წყაროს წყალი ორბელიანებმა რომ გამოიყვანეს სოფელში, დღესაც შეუცვლელია.

✦ ორბელიანებმა სოფელში სამედიცინო მომსახურებასაც ჩაუყარეს საფუძველი. მათ ლამისყანაში თბილისიდან მოჰყავდათ ექიმი გეგე მაღალაშვილი და გლეხებს მკურნალობდნენ.

✦ ორბელიანებს უყვარდათ სოფელი ლამისყანა. მათ არაერთი გლეხის შვილი მონათლეს. ისინი ბატონები კი არა, სოფლის პატრონები იყვნენ.

✦ პირველი დუქანი ორბელიანებმა გახსნეს ლამისყანაში. ყველა საჭირო საქონლით ამარაგებდნენ გლეხებს.

✦ საშიკო ჯამბაკურ-ორბელიანი საცხენოსნო სპორტის დიდი მოამაგე იყო. მას ლამისყანაში 400 ცხენი ჰყოლია.

✦ ჭიდაობაც ჰყვარებია ,,იმ სულგანათლებულ ბატონს,, – ასე იგონებენ ლამისყანელები ორბელიანებს, არაერთი შეჯიბრი გამართულა სოფელში საშიკო ორბელიანის ინიციატივით. თავის ფალავნებს დიდად სწყალობდა თურმე.

✦ ორბელიანები ყოველ ზაფხულს ლამისყანაში ატარებდნენ. ზეიმი იყო სოფლისათვის მათი ჩამობრძანება. ეზოში იშლებოდა სუფრა. საკუთარ გლეხებთან ერთად, მეზობელი ერისთავის გლეხებსაც პატიჟებდნენ.

ჩვენი წარსულის გადასარჩენად

ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ ხელისუფალთა პოზიცია ლაკმუსის ქაღალდივით თვალნათლივ აჩენს მათ დამოკიდებულებას საქვეყნო საქმეების მიმართ. საზოგადოდ სამშობლო ყველას გვიყვარს, მაგრამ რამდენად ვართ მზად უ ა ნ გ ა რ ო დ ვიზრუნოთ სამშობლოს წარსულზე, ვიზრუნოთ იმიტომ კი არა, რომ დაგვავალეს, თავი მოვიწონოთ, ან წინასაარჩევნო საჭირო ქულები მოვაგროვოთ... ვიზრუნოთ ჩვენი წარსულის გადასარჩენად იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეგვიძლია და მორჩა.

ამ ზაფხულს, კერძოდ პირველ აგვისტოს ლამისყანაში ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში მათ შთამომავლებთან შეხვედრა შედგა. შეხვედრის საბაბიცა და მიზეზიც, მართლაც, საჭირბოროტო საკითხთა განხილვა გახლდათ: ლამისყანის კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების ხარვეზები და შედეგად მიღებული პრობლემები, ამ უკანასკნელთა ადგილზე გაცნობა, შთამომავალთა აზრის მოსმენა და ერისთავ-ორბელიანთა სასახლის ისტორიული თავგადასავლის გახსენება მუზეუმის პოპულარიზაციის გზების მოსაძიებლად.

პრობლემათა წყებაში სრულად გარკვევის მიზნით ვესაუბრეთ ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დირექტორს სოფიო ცუცუნაშვილს.

- ქალბატონო სოფიო, შევეცადოთ თანმიმდევრულად ჩამოთვალოთ მოსაგვარებელი საკითხები. კერძოდ, დავიწყოთ დაცვითი ზონით...

- მოგეხსენებათ, შემორჩენილია მცირე ნაწილი, რომელიც მიგვანიშნებს, რა სიგანის თუ სიმაღლის გალავანი მიუყვებოდა თავლას. ამ კედლის აღდგენით დაცვითი ზონაც განისაზღვრება და მემორიალური სახეც აღდგება.

რაც შეეხება დანარჩენ საზღვრებს: მე მიმაჩნია (თუ ეს მისაღები იქნება ძეგლთა დაცვის სააგენტოსთვის), რომ შემოვლებულ უნდა იქნეს რკინის ღობე იმ სახით,



ქვემო ჭალაში, ამილახვართა სასახლეს რომ არტყია. ლამისყანის და ქვემო ჭალის სასახლეები თანადროულია. ჩვენ გადაღებული გვაქვს ქვ. ჭალის ღობე და შეგვიძლია საჭიროების შემთხვევაში მისი წარმოდგენა.

- ნიადაგის ეროზია საშიშროებას უქმნის სასახლეს?

- სასახლე დგას ბორცვზე. სამი მხრიდან ფერდობია. სასახლის რესტავრაციიდან 30 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე, რასაც მე ვაკვირდები, ფერდობი სასახლეს უახლოვდება. ბებერი აკაციის ხეები ამის დასტურია. წლების წინ მათ გარშემო შემოვლა შეგვეძლო. დღეს ეს შეუძლებელია. აუცილებელია შემოღობვა და ტერასების გაკეთება. ხეები უნდა დავრგათ, ეროზია რომ შევაჩეროთ. რამდენადაც მე ვიცი, ასეთ ნიადაგს კარგად გუობს ნუში. მრავალწლიანი შემოსავლიანი ნარგავების გაშენება არა მგონია ცუდი იდეა იყოს.

ასე რომ, პირველი და მეორე პრობლემა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

- თქვენ ისაუბრეთ ეზოს კეთილმოწყობაზე, ბაზალტის ფილებზე, მიწის იზოლაციაზე ...

- ეზოს უნდა დაუბრუნდეს თავდაპირველი სახე, რაც კარგად ჩანს ძველ ფოტოებზე. 1980-1985 წლებში ჩატარებული რესტავრაციით ეზოს დაკარგული აქვს მემორიალური სახე.

სამშენებლო ნარჩენებით ამაღლებულია ეზო და წვიმისა და თოვლის წყალი ჩაედინება შენობის საძირკველში.

აუცილებელია, მოიხსნას ბაზალტის ფილები, დაიდეს მიწა შენობაში შემოსასვლელი აგურის ქვაფენილის პირას, მოიჭრას მიწა შენობის მხარეს და გაუთანაბრდეს მარჯვენა მხარეს. ამით პირველი სართული დაცული გახდება სინესტისაგან.

თავის დროზე, ბატონი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი გვირჩევდა, ბაზალტის ფილების ალების შემდეგ, ქვაფენილს თუ ვერ შევძლებთ, ქსნის წვრილი კენჭის დაყრაც შეგიძლიათო.

- ეზოს კეთილმოწყობაში რა სამუშაოები გაქვთ გათვალისწინებული?

- ვმუშაობთ რა, დამთვალიერებლებზე ორიენტირებული პროგრამით და ვაფიქსირებთ მათ შენიშვნებსა და წინადადებებს, შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტორთა პირველი მოთხოვნა ეზოს კეთილმოწყობა და საბრძოლო ბილიკის აღდგენაა.

თუ გადაიჭრება მესამე პრობლემა, ამით საშუალება მოგვეცემა, ეზო სკვერად ვაქციოთ. დავრგათ შერჩეული ხე-მცენარეები, დავდგათ სკამები და დამთვალიერებელს დასვენების საშუალებაც მივცეთ, რაც მათი უპირველესი მოთხოვნაა.

ალაყაფის კარები იმდენადაა მორყეული და იმდენჯერაა შეკეთებული, ამჯერად მისი შეცვლა აუცილებელია.

- სამუზეუმო პრობლემებზე რას გვეტყვით?

- ორი ათეული წელი იქნება, რაც თემატურ-საექსპოზიციო გეგმა შევადგინეთ. ამაში ბატონი ლალი ჯავახიშვილი გვეხმარებოდა. კულტურის სამინისტრომ დაგვიმტკიცა კიდეც. ექსპოზიციონერებიც შეგვირჩიეს. მათ ესკიზებიც მოამზადეს და... დღემდე საექსპოზიციო გეგმა თაროზე გვაქვს შემოდებული.

ოთახებიდან რადიატორები უნდა გავიტანოთ; ელექტროგაყვანილობა მოსაწესრიგებელია როგორც შენობის გარეთ, ასევე ორივე სართულზე.

კოშკებში წყალი ჩამოდის, რამაც დააზიანა კოშკის კიბე. ორივე სართულის იატაკი საჭიროებს განახლებას, კარ-ფანჯრები შეკეთებას, ნაწილი შეცვლას.

30 წელი სრულდება მუზეუმის დაარსებიდან, ჯერ ახალი ინვენტარი აქ არ შემოსულა. სტუმრებისათვის სკამებს ვთხოულობთ, მოსაწყობია სველი წერტილები.

პარალელურად ვზრუნავთ ექსპოზიციის გასამდიდრებლად.

- საგანმანათლებლო პროექტები თუ გაქვთ?

- მუზეუმს ვოლონტიორი მოსწავლეები ჰყავს. საკმაოდ ნიჭიერი. ყოველი ღონისძიების აქტიური მონაწილენი და ჩვენი დამხმარენი არიან. სამწუხაროდ, ჩვენ მათთვის საინტერესოს, (თვალსაწიერს რომ გაუფართოებს და ამ სასახლესაც ისტორიულ ფუნქციასაც დაუბრუნებდა), ვერ ვთავაზობთ. ვგულისხმობ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტს (ამის კარგი მაგალითი ხოვლის მუზეუმია). საამისო ფართიც გაგვაჩნია და მსურველი მოსწავლეც ბევრია, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას რომ მიიღებდა.

- ქალბატონო სოფიო, ჩვენ კარგად გვახსოვს რა ძალა, ენერგია, მონდომება და შრომა დაგჭირდათ ორბელიანთა კარის ეკლესიის ამოქმედებისათვის. მაშინაც თითქოს შეუსრულებლად გვეჩვენებოდა ტაძრის შენობის აღდგენა-განახლება, წირვა-ლოცვაზე მრევლი თუ ივლიდა ამასაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ... ღვთის მადლით კარის ეკლესია დღეს მოქმედია.

გაზეთი პერმანენტულად გააშუქებს ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში პრობლემების მოგვარების მსვლელობას და გამოჩენილ მეცენატებს აუცილებლად გავაცნობთ ფართო საზოგადოებას.

ნ. ხატიძე.

გარეგანათების სამუშაოები გრძელდება

ქალაქ კასპში და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში გრძელდება გარეგანათების მოწყობის სამუშაოები.

წელს ქალაქ კასპში დაგეგმილია 40 ქუჩის და ჩიხის, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში 39 სოფლის გარეგანათების სამუშაოები. სამუშაოები დაწყებულია. ქალაქის ზოგიერთ ქუჩაზე ნათურების შეცვლა მიმდინარეობს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მადლი" აწარმოებს, მასზე 164 999 ლარი იხარჯება და ხელშეკრულების თანახმად, მიმდინარე წლის 9 დეკემბერს დასრულდება.

ქუჩების გარეგანათება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით გამყოფი ხაზისპირა სოფლის მოსახლეობისათვის. სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება და ქსელი უფრო გაფართოვდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ვრცელდეგები დამთავრდა, გაუმარჯოს ... ბურთს!

სექტემბერში, სხვა სასწავლო დაწესებულებების მსგავსად, სამწვრთნელო-სასწავლო პროცესი განახლდა საქართველოს ბავშვთა და ჭაბუკთა სპეციალიზებულ საფეხბურთო აკადემიებსა და სკოლებშიც, მათ შორის – თბილისის "დინამოს" აკადემიაში. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ახალი ტალანტების დაოსტატების კერის კედლებში რანდენიმე კასპელი ჭაბუკი სწავლობს. თორნიკე თაგვიაშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი და პაპუნა პაპაშვილი, ორი-სამი წელია, "დინამოს" სახელით გამოდიან საქართველოს პირველობის ჭაბუკთა ლიგაში. ისინი თავდამსხმელები არიან: თორნიკეს პირველი წელი ოპერაციის გამო გაუცდა, მაგრამ 6 გოლი მაინც გაიტანა; ტარიელმა 10 ბურთი შეაგდო მეტოქეთა კარში, მათგან ყველაზე გადამწყვეტი იყო ფოთში, რომელმაც მის გუნდს გამარჯვება არგუნა, პაპუნა

კი იმ სტილის თავდამსხმელად ყალიბდება, რომელსაც ერთობლივად ახასიათებს სისწრაფე, აზროვნება და დარტყმა, მან უკვე ითამაშა საქართველოს იუნიორთა (17-წლიანთა) ნაკრებში, ყაზახეთის გუნდის წინააღმდეგ თბილისურ ამხანაგურ მატჩში (2:0 მოიგეს ქართველმა ჭაბუკებმა). თორნიკეც, ტარიელიცა და პაპუნაც საზაფხულო არდადეგებზე კასპში იმყოფებოდნენ და დროს უქმად როდი კარგავდნენ, პერიოდულად იკრიბებოდნენ ქალაქის მინიმოედნებზე და თანატოლებთან ერთად ბურთს აგორებდნენ ფორმის შესანარჩუნებლად. ახალგაზრდა მწვრთნელს, ზაზა ჯალალს, რომელიც თბილისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია (ვახტანგ კოპალეიშვილის ნაშეგირდალია) და მუშაობის სათანადო ლიცენზია გააჩნია, მიაჩნია, რომ დინამოელი მეგობრების გვერდით ვარჯიში სხვა მათი თანატოლებისა და უმცროსებისათვის დადებითად გადამდები მუხტის მატარებელი მაგალითია და სხვებსაც აძლევს სტიმულს, არდადეგები ნაყოფიერად გამოიყენონ და, საერთოდაც, მეტი მონდომებით გაისარჯონ, მთავარია ოსტატობის ზრდა, დღევანდელი მიღწევით დაუკმაყოფილებლობა და მიზანი – უფრო მაღალი დონის გუნდში მოხვედრა – ყველას გარანტირებული ექნება!

დიახ, ასეა თუ ისე, კიდევ ერთი არდადეგები გავიდა, დამთავრდა და, მაინც, გაუმარჯოს... ბურთს, რადგანაც მობურთალები არასოდეს უქმობენ.

სურათზე: მწვრთნელი ზაზა ჯალალი და მისი შეგირდები – თორნიკე თაგვიაშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი და პაპუნა პაპაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

***დასასრული. დასაწყისი "ახალი განთიადი" №17.**

ვრცელ მხილოდ შვილი, ვრცელ ჰვრცლოთა და მეგობარი

მთელი მსოფლიოს მეცნიერები აქტიურად მუშაობენ იმ მეთოდებზე, რომლებიც განათლების სისტემის წარმომადგენლებს ინდიგო ბავშვებთან ურთიერთობაში დაეხმარება.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საბავშვო ბაღებში, კოლეჯებში, საშუალო სკოლებში ასეთ ბავშვებთან ურთიერთობას უდიდესი ყურადღება ექცევა.

სხვათა შორის, ამერიკაში შემუშავებულია სამედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბავშვებში სინდრომის აღმოსაფხვრელად, რადგან ის, უწინარეს ყოვლისა, უყურადღებობასთან, ყურადღების დეფიციტთან

საზოგადო და პრივატულ საუბრებში ხშირად გამოვთქვამთ გაოცებანარევ აღფრთოვანებას ახალი თაობის მიხვედრილობისა თუ მოულოდნელად გონივრული მოქმედების გამო; გაჩნდა "ინდიგო ბავშვების" ცნებაც, მაგრამ რეალურად მაინც არ ვიცით რა მოიაზრება ამ ცნებაში, ნამდვილად გამორჩეულები არიან ჩვენი პატარები თუ ესეც ჩვეულებრივი მშობლიური სიყვარულის "მისტიფიკაციაა" და მეტი არაფერი.

"ინდიგო ბავშვების" თემაზე მრავალი უცხოელი მეცნიერი მუშაობს. ამჯერად გვინდა გაგაცნოთ რობერტ ოკერის მოსაზრება. იგი ვისკონსინის უნივერსიტეტში მუშაობს, თავის ნაშრომებში, რომლებიც სწორედ ინდიგო ბავშვებს ეხება, აღნიშნავს, რომ აღმზრდელები, მშობლები და პედაგოგები, უნდა იქცნენ ნოვატორებად აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში; ახლებურად, უფრო მოქნილად მიუდგნენ ინდიგო ბავშვებს, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ახსნისა და ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს ეხება. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ვფიქრობთ პუბლიკაცია საინტერესო იქნება ჩვენი პედაგოგებისათვის.

ექსპერტების რჩევით, მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და პედაგოგები მზად აღმოჩნდნენ ამ ბავშვებთან ურთიერთობისთვის, სწორად შეაფასონ მათი ნიჭიერება და მათი პრინციპულობა თუ სიჯიუტე.

არის დაკავშირებული, მაგრამ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ინდიგო ბავშვებში ეს სინდრომი არ იკურნება. და საერთოდ, მათი ქცევა არის არა ნორმიდან გადახრა, არამედ "ნიშანი ახალი ტიპის ადამიანის დაბადებისა", მკურნალობა კი დაამუხრუჭებს ამ ბავშვების და, აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარებას.

მეცნიერები ამტკიცებენ იმასაც, რომ ინდიგო ბავშვების დნმ შეცვლილია და ორგანიზმის ტალღოვანი გამოსხივება ნორმას ზოგჯერ 10-ჯერაც კი აღემატება, ანუ ინდიგო ბავშვების განსხვავებულობა ფიზიკურ დონეზეც იგრძნობა.

ინდიგო ბავშვებთან ურთიერთობისას შეცდომები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რადგან ეს ბავშვები, თანატოლებისგან განსხვავებით, რამდენადაც ადვილად უმკლავდებიან პრობლემებს, იმდენადვე ცდილობენ, გარესამყარო საკუთარი სურვილის მიხედვით გარდაქმნან, ანუ იბადება კონფლიქტი მშობლებს (ასევე - პედაგოგებს) და ინდიგო ბავშვებს შორის. მშობლებმა ეს ყველაფერი უნდა გააცნობიერონ.

რჩევები მშობლებსა და პედაგოგებს: ინდიგო ბავშვს მოეპყარით პატივისცემით, მაგრამ არ გაათამამოთ; დაეხმარეთ, რომ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს; არჩევანის გაკეთებისას თავი შეზღუდულად არ იგრძნოს; ყოველთვის დაუტოვეთ არჩევნის თავისუფლება, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს; არასოდეს დაამციროთ; ყოველთვის აუხსენით, რატომ უნდა გააკეთოს ეს და არა ის, ანუ ნუ მოითხოვთ მისგან

ბრმა მორჩილებას; ნუ იქნებით მასთან დიქტატორი - შესაძლოა, თავდაპირველად სასურველი შედეგი მიიღოთ, მაგრამ მომავალში ეს გაორმაგებულ პრობლემებს მოგიტანთ; ნუ აგაღელვებთ მისი უყურადღებობა - ეს ინდიგო ბავშვისთვის ჩვეულებრივია; თუ გსურთ, რამე გააკეთებინოთ, დაანახეთ ამ საქმის შემეცნებითი მხარე; გაითვალისწინეთ, რომ ეს ბავშვი თქვენი არა მხოლოდ შვილია, არამედ პარტნიორიც და მეგობარიც - მასში ბავშვთან ერთად, ასე ვთქვათ, დიდი ადამიანიც "ცხოვრობს"; ნუ დატოვებთ მის შეკითხვებს უპასუხოდ და მის ინტერესს ნუ უგულებელყოფთ; ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი დრო დაუტოვოთ.

“სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ”



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევებისას, 80-იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე დემონსტრანტების მიერ გამოტანილ ქართველ მამულიშვილთა პორტრეტებს ხალხი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, მარტო ახალგაზრდების კი არა, ასაკოვანი ადამიანების განცვიფრებული სახეები, რომლებიც პირველად ხედავდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გიორგი მაზნიაშვილისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კიდევ სხვა ბევრი ადამიანის სურათს... საბჭოთა ეპოქაში, ათეული წლების განმავლობაში აკრძალული იყო მათი სახელის ხსენება, მხოლოდ ახლა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაიგო ფართო საზოგადოებამ მათ მიერ სამშობლოსადმი გაწეული ღვაწლი და დამსახურება. დიახ, დრომ — ამ დაუნდობელი და მოუსყიდველი მსაჯულის მიერ გამოტანილმა განაჩენმა ნათელი მოჰფინა მათი თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლის ისტორიას... “ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა მკვდრეთით აღმადგენს, სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება”. ეს შთამაგონებელი და მრავლისმთქმელი სიტყვები საქართველოს გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა თითქოს, ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას, ბრძენმა გენერალმა წინასწარ განჭვრიტა საკუთარი და სამშობლოს ბედი.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, გულანთებული მამულიშვილის, გიორგი მაზნიაშვილის ღვაწლი და დამსახურება თაობებს აღაფრთოვანებს... კასპის რაიონის სოფელ სასირეთში დაბადებულ-გაზრდილი (1870 წელი) გიორგი მაზნიაშვილი ჯერ კიდევ თბილისის იუნკერთა სასწავლებელში სწავლისას ამჟღავნებდა სამხედრო საქმისადმი საოცარ ნიჭიერებასა და გამჭრიახობას, მერე კი, სწავლის დასრულების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდამ თავი გამოიჩინა რუსეთ-იაპონიის ომში, ქალაქ მანჯურიაში მძიმედ დაიჭრა კიდეც, იმდენად დიდი იყო საიმპერატორო წრეებში ქართველი მებრძოლის ნდობა და პატივისცემა, რომ პეტერბურგის ლაზარეთში ყოფნისას დაჭრილ მაზნიაშვილს თვით ნიკოლოზ მეფის ქალიშვილებიც კი უვლიდნენ, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი მეფეს პირადად უნახავს და ჯილდო, წმინდა გიორგის ჯვარი საკუთარი ხელით მიუბნევია მკერდზე. მიღებულ უამრავ ჯილდოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს ხმალი, რომლითაც გიორგი მაზნიაშვილი პირველ მსოფლიო ომში, კერძოდ კი, დასავლეთის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს...

მსოფლიო ომებგამოვლილი გენერალი ახლა, ცხრაასიანი წლების საქართველოს საზღვრებს მომდგარ მტრებს იგერიებდა... 1918 წლის ზაფხულში, საქართველოსთვის უმძიმეს წლებში, მაშინ, როდესაც აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, გიორგი მაზნიაშვილმა შეკრიბა ლაშქარი, დაამარცხა დენიკინის არმია და შემოჭრილ მტერს ტუაფსემდე სდია. სწორედ გიორგი მაზნიაშვილის წყალობით იყო, რომ 1918 წლის ზაფხულში საქართველო კვლავ ნიკოფსიიდან იწყებოდა. სამშობლოს მტრების წინააღმდეგ წარმოებული მრავალი წარმატებული საბრძოლო ოპერაციის მიუხედავად გენერალ მაზნიაშვილს მაინც არ სწყალობდა საბჭოთა მთავრობა, ათასგვარი უსაფუძვლო ბრალდებით ათვალწუნებული და გაძევებული გენერალი ერთხანს, სამშობლოდან შორს, პოლიტიკურ ემიგრაციას აფარებდა თავს, მაგრამ უცხოობაში ყოფნას დიდხანს ვერ შეეგუა და სამშობლოში დაბრუნდა, მშობლიურ სასირეთში, მამა-პაპისეულ კარმიდამოში დამკვიდრდა და ჩვეულებრივი გლეხკაცის ცხოვრებით ცხოვრობდა სოფელში, თუმცა, აქაც დიდი გულმხურვალება და ერთგულება, მზრუნველობა აგრძნობინა აქაურებს, აუშენა სკოლა, სოფელში აღადგინა ნანგრევებად ქცეული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, გამოიყვანა სასმელი წყალი, თანასოფლელებს მტკვარზე ბორანი აუგო, ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ხალხისთვის... თუმცა, აღარც ახლა მოასვენეს, გაასამართლეს და სუსხიან 1937-ში 67 წლის თმაჭაღარა, უბადლო სამხედრო მოღვაწეს გიორგი მაზნიაშვილს დახვრეტა მიუსაჯეს...

სახელოვანი მამულიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას თანამედროვე საზოგადოება სათანადოდ აფასებს და უდიდეს პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ მიმდინარე წლის 9 სექტემბერს /მაზნიაშვილის დახვრეტის თარიღი/ გენერლის მშობლიურ სასირეთში გამართული ღონისძიება, რომელიც წელს უკვე მესამედ აღინიშნა. სასირეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში სამთავისი-კასპის ეპარქიის მეუფე დამიანემ (ყუფუნია) გენერლის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. სოფლის ცენტრში, საგულდაგულოდ შერჩეულ ადგილზე გამოკრულ დიდ ბანერთან, რომელსაც ჰქონდა ასეთი წარწერა: აქ გაშენდება მაზნიაშვილის სახელობის სკვერი, მოეწყო სახელდახელო პრეზენტაცია. ამ პატარა ცერემონიალს ესწრებოდნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები. უამრავ სტუმარს უმასპინძლა გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმმა, სადაც გაიმართა გენერლის ცხოვრებისა და საბრძოლო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომლის ორგანიზატორია კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

შემდეგ მუზეუმის ეზოში თავმოყრილ საზოგადოებას მიესალმა ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, გიორგი მაზნიაშვილის სახელობის არასამთავრობო ორგანიზაცია “ქართული სოფლის” დამფუძნებელი ვახტანგ ბეჟიტაშვილი.

გენერლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი. სანახაობრივი, ძალიან შთამბეჭდავი იყო საბრძოლო ხელოვნებით გამორჩეული “შავფაროსნების” ზეიმში მონაწილეობა, აგრეთვე კასპელი მოსწავლის ლუკა სპანდერაშვილის მიერ მხატვრულად წაკითხული მაზნიაშვილის მონოლოგი პიესიდან “დრო 24 საათი”, ანსამბლი “მოურავი” მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართული “მრავალჟამიერით”, ღონისძიებას უძღვებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

ჯასპის "განთიადი - 2000" – თბილისის ლიგის გამარჯვებული

შუა სექტემბერში ქ. თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე მოეწყო დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული პირველობების გამარჯვებული გუნდების საზეიმო დაჯილდოება.

სასიხარულო ფაქტია, რომ კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის (დირექტორი ავთანდილ ჯალალი) გუნდმა "განთიადი - 2000" გაიმარჯვა ერთ-ერთ პირველობაზე – ქ. თბილისის ლიგის გათამაშებაში. მასში 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ივნისამდე გამოდიოდნენ, ძირითადად, დედაქალაქის საფეხბურთო აკადემიისა და სკოლების ჭაბუკთა გუნდები, ასევე, სიღნაღისა და მცხეთისა – სულ 14. გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც! კასპელმა ჭაბუკებმა პირველი თამაშიდან ბოლომდე უპირობოდ ილიდერეს და მეტოქეებს არათუ გადასწრების, მიახლოების შანსიც არ დაუტოვეს: 26 თამაშიდან 24-ში გაიმარჯვეს და მხოლოდ 2 დაასრულეს ფრედ, გაიტანეს 92 და საკუთარ კარში გაუშვეს მხოლოდ 14 ბურთი.

დაჯილდოების ცერემონიალზე კასპელ ჭაბუკებს სპეციალური თასი, მედლები და სიგელები გადასცეს ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ცნობილმა ფეხბურთელმა გრიგოლ ცაავამ და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ. ღონისძიებას ესწრებოდა მინისტრიც – ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილი, რომელმაც სურათი გადაიღო "განთიადის" წევრებთან. გუნდის გოლეადორი, გიორგი უნგიაძე, საუკეთესო იყო არა მარტო გუნდში, არამედ მთელ პირველობაზე: 23 გოლით იგი ტურნირის პირველი ბომბარდირი გახდა, მეკარე გიორგი ჩარაევი კი მთელი პირველობის არა თუ საუკეთესო კარის დარაჯად, არამედ მოთამაშედ აღიარეს (რაც იშვიათად ხდება ფეხბურთში ამ ამპლუის მოთამაშეებში). ამიტომ მოხდა, რომ ჭაბუკი უნგიაძე სათამაშოდ მიიწვიეს ცხინვალის "სპარტაკში", ხოლო ჩარაევი და მასთან ერთად გიორგი ხარატიშვილი გორის "დილაში". მათ გარდა კიდევ რამდენიმე მოთამაშე მოხვდა სხვა გუნდების მწვრთნელთა და სპეციალისტთა მხედველობის არეში. თბილისის ლიგის 2014-15 წლების პირველობის გამარჯვებული კასპის "განთიადი – 2000"-ის შემადგენლობა ასეთია: გიორგი ჩარაევი, ბესიკ თაგვიაშვილი (გაიტანა 2 გოლი), კახაბერ გულარაშვილი, ირაკლი პარსალიშვილი (9), მიხეილ მარქარაშვილი, საბა გეგელაშვილი (4), გიორგი უნგიაძე (23), გია ბაინდურაშვილი (2), ვახტანგ ხარატიშვილი (8), ნიკა შალუტაშვილი (18), ონისე ონიაშვილი (17), ჯემალ აბულაძე, ლაშა ბაინდურაშვილი (2), გიორგი დალაქიშვილი (3), ლევან ქენქაძე (1), თამაზ მერებაშვილი, მიხეილ პარსალიშვილი, ნიკა ბურდული, ლუკა თაგვიაშვილი (მათ გარდა გუნდში ითამაშა 2001-2002 წლებში დაბადებულმა რამდენიმე ჭაბუკმაც).

გამარჯვებული გუნდის წარმატება განაპირობა მწვრთნელი ძმების – მალხაზ და ზაზა ჯალალების – ტანდემურმა მუშაობამ.

რაიონული პირველობა მინიფეხბურთში



იმ დღეებში, როცა ინგლისში სარაგბო მსოფლიო ჩემპიონატი გაჩაღდა და საკალათბურთო საევროპო კი ჩათავდა, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ მინისაფეხბურთო მოედანზე (ფარნავაზის ქუჩაზე) პირველი მატჩები გამართეს სარაიონო მასშტაბის შეჯიბრების მონაწილეებმა. ესაა ტრადიციული ტურნირი ქალაქის უბნებისა და სოფლების გუნდების მონაწილეობით.

2015 წლის გათამაშებისათვის განაცხადი შემოიტანა 20 გუნდმა. წილისყრის შედეგად ისინი 5 ჯგუფში განაწილდნენ:

I ჯგუფი – მილანი, დოესი, ზენიტი და კოდისწყარო; II ჯგუფი – გერები, სტადიონი, ქარხნის უბანი და ამერი; III ჯგუფი – დინამო, ოკამი, ლამისყანა და ქეჩარუხი; IV ჯგუფი – რენე, ქვემო გომი, მირიანი და სანაპირო; V ჯგუფი – ცსკა, ნატბეურა, ახალქალაქი და ქვემო ჭალა.

პირველობა, რომლის ორგანიზატორია კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება (დირექტორი შოთა გოგიაშვილი), ტარდება ნახევრადოლიმპიური სისტემით, ანუ გუნდი გათამაშებიდან ითიშება ორი წაგებული მატჩის შემდეგ.

საინტერესოა, რომ ტურნირის პირველივე მატჩში (მილანი – დოესი) უხვგოლიანობა აღინიშნა - 13:6 (გამარჯვებულის შემადგენლობიდან 6 ბურთი გაიტანა გიორგი ყაზარაშვილმა), ხოლო 19 სექტემბრის სხვა თამაშები ასე დამთავრდა: ზენიტი - კოდისწყარო – 4:2, გერები - სტადიონი – 5:3, ქარხნის უბანი - ამერი – 3:9. შევნიშნავთ, რომ ამერი შარშანდელი გამარჯვებულია და წელსაც ფავორიტადაა მიჩნეული.

20 სექტემბრის თამაშებში რენეს გუნდმა სძლია ქვემო გომისას (8:6), რაც დამატებით 5-წუთიან მონაკვეთში მოახერხა, ხოლო ახალქალაქის გუნდმა პრინციპულ ორთაბრძოლაში, როცა 5-ჯერ მეტოქეს მიჰყავდა ანგარიში, მაინც გატეხა ქვემოჭალელთა წინააღმდეგობა (6:5).

როდის ტირიან მართველები ...

მოჭიდავეებში ტირილი მოსულა, დიდებშიცა და პატარებშიც. ახლახან ტელეეკრანზე ვიხილეთ ევროპის ჩემპიონატის ფინალისტების ტირილი – ქართველი, რომელიც იგებდა და ბოლო წამებზე დამარცხდა, სიმწრისაგან აცრემლდა, ხოლო იტალიელი, რომელსაც ბედმა გაუღიმა, სიხარულისაგან აღვარღვარდა. დიახ, ასაკოვნებს თუ არ ეთაკილებათ სახალხო გულჩვილობა, აბა, ყმაწვილებს ვინ გაკილავს მარცხის გამო საჭიდაო წრის ნახერხზე დაპკურებული რამდენიმე ცრემლისათვის ...

ამას წინათ სწორედ რომ ასეთი რამდენიმე შემთხვევა მოხდა სოფელ კავთისხევის საჭიდაოზე, სადაც 11-13 წლის მოზარდები შეკრიბეს და ერთმანეთს დააჭიდეს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით გამართულ პირველობაზე. ნიშანდობლივია, რომ მომავალში მათი სახით საქართველოს ეზრდება ახალი ჩემპიონები და ფალავნები და, ამდენად, მართველების სასექტემბრო გაპაექრება ერთგვარი შემოწმება-დათვალიერება იყო ამ ახალი ტალღისა, შემცვლელად მოაზრებული თაობისა. ამიტომაც ეს პირველობა მოეწყო სწორედაც ქართული ჭიდაობის რაინდის, 1973 და 1975 წლებში საქართველოს აბსოლუტური ფალავნის, ოთარ ყურაშვილის, დამსახურების საპატივსაცემოდ... 35, 40, 45, 50 და +50 კილოგრამის წონით კატეგორიებში გამარჯვებული და პრიზიორი ყმაწვილების ვინაობა, ამჯერად, არაფერს გვეუბნება (ცხადია, ჭიდაობის მწვრთნელთა და სპეციალისტთა გარდა), მაგრამ იმას კი მივანიშნებთ, რომ ასეთი სამეულები შექმნეს დედოფლისწყაროს (3 ჩემპიონი და ამდენივე პრიზიორი), მცხეთის (ჩემპიონი და ორი პრიზიორი), კასპის (ჩემპიონი და ორი პრიზიორი), ასევე, ქარელისა და ცაგერის წარმომადგენლებმა... მასპინძელი სოფლის მაყურებელი დიდად გულშემატკივრობდა პატარა თანასოფლელს, თემურ ნადირიანს, მაგრამ მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (45 კგ-ში). კასპელმა ბიჭებმა ყველაზე

*დასასრული გვ8.

ერთიანი ეროვნული ხასიათი

ანუ რჩეულთა გამძლეობა

ალავერდი ჯერ შორიდან უნდა დაინახო— თელავის აღმართებიდან ან რომელიმე ზეგანზე ამაღლებული სოფლიდან. ამინდის შესაბამისად, იგი სხვადასხვა ფერის ნისლშია ხოლმე გახვეული და იქიდან ნელ-ნელა ამოიზრდება, კონტურებს კარგავს და ულამაზეს ამორფულ სხეულს წააგავს. ამ უცხო, თითქოს არამატერიალურ ხილვას გარშემო ხშირად ლაჟვარდისფერი აკრავს და, მაშინ ტაძრის სიქათქათე უფრო თვალშისაცემი ხდება. არავინ იცის, რომელ საუკუნეში გაჩნდა ალავერდის აღმნიშვნელი მეტაფორა "თეთრი გედი", რომელიც თანდათან გაუფასურდა, გაცვდა, ალბათ, იმიტომ, რომ ეს ტაძარი გრაციითა და სინარნარით გამორჩეულ თეთრ გედზე ბევრად უფრო მშვენიერია.

როცა ალაზნის ველზე დაეშვები და ალავერდს მიუახლოვდები, შეიძლება ხელახლა აღმოაჩინო, რას ნიშნავს სიტყვა "ზესწრაფვა," რადგან ხუროთმოძღვრების ეს შედევრი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და გრანდიოზული საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში. მისი სიმაღლე თითქმის ორმოცდაათი მეტრია. განივი პროპორციები და გუმბათის ყელის სიგრძე ისეთ იშვიათ ჰარმონიაში არიან ერთმანეთთან, რომ ალავერდი შესაძლოა, უფრო დიდი მოგეჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია. საკუთარი თავი კი მასთან შედარებით, ძალზე პატარა და უსუსური— ისევე როგორც ადამიანური ვნებანი ღვთის ნებასთან მიმართებაში.

ალავერდობა ყველაზე დიდი და მრავლისმომცველი რელიგიური და, თანაც, ხალხური დღესასწაულია კახეთში. ოდითგან, ალავერდისკენ დაიძვრებოდნენ ხოლმე მორწმუნეთა ჩარდახიანი ურმები — ბავშვებით, მოხუცებით, ხეიბრებით და, სანოვაგით დატვირთულნი. სალოცავში ღამის სათევად, სავედრებლად და მსხვერპლის შესაწირად მისულ ადამიანთა ერთობა უფრო ფოლკლორული დღესასწაულის მონაწილეს ჰგავდა.

სავარაუდოა, რომ აქ ოდესღაც წარმართული ტაძარი არსებობდა. უთუოდ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თავად სოფელ ალავერდის შემოგარენი ძველი წელთაღრიცხვის XVII-XVIII საუკუნეებში ყოფილა დასახლებული. ალაზნის მარჯვენა სანაპიროს გათხრისას აღმოაჩინეს სამაროვნები, სადაც შენახული იყო მოხატული თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნაკეთობანი.

ქართული ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, VI საუკუნის შუახანებში, როცა ამ ადგილის სიახლოვეს საქარავნო გზები მიემართებოდნენ, თელავქალაქიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, მამა იოსებს, ალავერდელად წოდებულს, აქ მონასტერი დაუარსებია. ტაძარი კახეთსა და უახლოეს მთიანეთში ქრისტეს სჯულის გავრცელებას, მწიგნობრობისა და ღვთისმეტყველების, ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის დამკვიდრებას ესწრაფვოდა და ემსახურებოდა.

XI საუკუნის დასაწყისში კახთა მეფე კვირიკეს ძველი, წმიდა გიორგის სახელობის მცირე ეკლესიის ალაგას აუგია დიდი საკათედრო ტაძარი. მართალია, მიწისძვრისაგან და უცხო რჯულის მომხვდურთაგან ეკლესიის შენობა მრავალგზის დაზიანებულა, ალავერდის შინაგანი თუ გარეგანი გამძლეობა ახლაც საქართველოს ისტორიასავით ხელშესახებია. პირველი მასშტაბური რესტავრაცია XV ს-ს 80-იან წლებში ალექსანდრე I, კახთა მეფის დროს დაწყებულა—გუმბათის ყელი და კედლების ცალკეული ნაწილები აღუდგენიათ.

XVIII საუკუნეში კი, მიწისძვრით დაზიანებულის შეკეთება ჯერ დედოფალ თამარს, ხოლო შემდეგ მეფე ერეკლეს გაუგრძელებია და დაუსრულებია კიდეც. საგულისხმოა, რომ უმთავრესად რიყის ქვით ნაგები ტაძრის აღდგენილი ნაწილები მთლიანად აგურით არის ნაშენი.

თუ შესაძლებლობა მოგეცემათ და ალავერდს შვეულმფრენიდან გადმოხედავთ (მაგალითად, მთათუშეთში გადაფრენისას), ეს კიდევ ერთი შეუდარებელი ესთეტიკური შთაბეჭდილება იქნება— სოფლების, გზების, ვენახების ფერწერულ-გეომეტრიული სურათი და მასში თეთრად გაწოლილი ჯვარი, რომელიც საფუძველია ტაძრის შენობის ხუროთმოძღვრული გეგმისა. ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობის სამი, ერთმანეთის ტოლი მკლავი სრულდება ნახევარწრიული აბსიდებით. შუა ნავს სწორკუთხა მოყვანილობა აქვს. ეს ყველაფერი ქმნის ადრეული შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისათვის ნიშანდობლივ გარეგნულ ფორმას, რომელსაც მეცნიერები ტრიკონქს უწოდებენ. სწორედ ჯვრის მკლავების გადაკვეთაზეა აღმართული გუმბათი. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია და გვერდითი ნაგებითაა დამშვენებული. საერთოდ, გარედან მთელ შენობას სწორკუთხა ფორმები აქვს და ისეთი ღირსეული სიმკვეთრით ხაზავს გარემოს, რომ შეუძლებელია ეს ტაძარი



ერთხელ ნახო და შემდეგ დაგავიწყდეს.

სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით ნაგებობას ღია გალერეები ჰქონია, რომლებიც XIX ს-ში დაუნგრევიათ. სამივე შესასვლელი ახლაც ამ მხარეებშია მოთავსებული. ტაძარში შესვლისას ჩნდება განცდა, რომ იგი ერთობ განსხვავებულია სხვა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებისაგან. ოთხ მძლავრ ბურჯზე დაყრდნობილი თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ქართულ ეკლესიებში, მაგრამ მის ჰარმონიულობას განაპირობებს ის, რომ გუმბათის დიამეტრი და მისი კონუსისებრი გადახურვის სიგრძე ერთმანეთის ტოლია.

გუმბათის ქვეშ მოქცეული ოთხკუთხა სივრცე იმ მასშტაბურობის საფუძველია, რომელსაც ტაძარში შესვლისას იგრძნობ. მას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ებჯინება ოდნავ შეზნექილი აბსიდები. საკურთხევლის აბსიდის გვერდებში სამკვეთლო და სადიაკვნე განუთავსებიათ. შუა, ძირითადი ნავი გუმბათის საყრდენ კამარებს უტოლდება, რაც სიმაღლის შეგრძნებას უფრო აძლიერებს. ორივე განაპირა ნავი ცოტათი დაბალია და ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. მათი ქვედა სართული ჯვრის ფორმის თაღითაა გადახურული. იგი პილასტრებსა და სვეტებს ეყრდნობა, რომელთა კვეთი რომანული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ფორმებს გაგახსენებთ. საერთოდ, მეცნიერთა ნაწილის აზრით, შინაგანი სივრცის მხატვრული გადაწყვეტით და ბურჯების ფორმით ალავერდი რომანული ხანის დასავლეთ ევროპის დიდ საკათედრო ტაძრებს ჰგავს. ფართო სარკმლებითა და კარებებით განათებულ ინტერიერში დღის სხვადასხვა მონაკვეთში სინათლის სხივების მონაცვლეობა შიგა ფორმების დახვეწილობას უფრო თვალშისაცემს ხდის.

კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია ძუნწად მორთული მონუმენტური ფასადები და ამ მხრივ, ალავერდიც არ არის გამონაკლისი. ეს სიძუნწეც მშვენივრად შეესატყვისება ერთიან არქიტექტურულ პროგრამას. კედლების როგორც გარე, ისე შიდა პირი მორთულია შირიმის მოზრდილი კვადრატებით. შედარებით უკეთ შემონახულ აღმოსავლეთის ფასადზე ხუთი დეკორატიული კამარა (იგივე თაღი) და ორი ღრმა სამკუთხა ნიშია. ორმაგი კამარა ეყრდნობა ნახევრადმრგვალი სვეტების კონას. შუა კამარის ვიწრო და მაღალ არეზე მოთავსებულია დიდი სარკმელი. ამ სარკმლის ზედა ნაწილს კი ამშვენებს ასევე დიდი ზომის რელიეფური ჯვარი. დაბალი კამარები საკურთხევლის კედლის თაღებს ებჯინებიან. სვეტისთავის ქვემოთ კამარის განშტოება ულამაზეს სამმაგ ხვეულს ქმნის. მკვლევარები ზემოთაღწერილ მოტივს სამთავისის ტაძრის მორთულობას ამსგავსებენ. ნაგებობა გადახურული ყოფილა დიდი, ცისფრად მოჭიქული კრამიტის ფილებით. მისგან მხოლოდ ფრაგმენტები შემორჩა. ალავერდს გარს არტყია ძალზე უცნაური და საკვირველი გალავანი (XVII-XVIIIს.ს.), რომელიც ცალკე აღებულიც კი დამოუკიდებელ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მასში ჩაშენებულია სხვადასხვა დროის ნაგებობები— სამრეკლო, სამსართულიანი პალატი დიდი კამაროვანი დარბაზით, ფეიქარ ხანის აგურის სასახლე, სხვადასხვა საცხოვრებელი შენობები.

XX საუკუნეში, როცა რუსი დამპყრობლების მიერ ასწლეულის წინ ბოროტად შეთეთრებული ტაძრის შიდა კედლები გაიწმინდა, გამოჩნდა ფრესკების რამდენიმე ფენა. მათგან ძალზე საყურადღებოა XI საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთის მკლავში, ასევე დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე შემორჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების მხატვრობა.

წარმოიდგინეთ, კავკასიონის ქედიდან ცივგომბორამდე, მდინარეებით— თურდოსა და სტორით შემოსაზღვრული ალავერდის საეპისკოპოსო, რომელიც მუდამ გამორჩეული მნიშვნელობის ეპარქია იყო საქართველოში— საკუთარი ყმა-მამულებით, ერთგული მრევლით, თავგანწირული ბერ-მონაზვნებით და მრავალი ტაძრით, რომელთა რიცხვი 1813 წელს 113-ს აღწევდა. ალავერდის მონასტერი კახთა მეფეების უმთავრესი სალოცავი და საძვალეც გახლდათ. როცა დავით აღმაშენებელმა ქვეყანა გააერთიანა, ალავერდის საეპისკოპოსოც სრულიად საქართველოს ეკლესიის სამსახურში ჩადგა. კახეთსა და ცივგომბორის ქედზე მდებარე სოფლების გარდა, ეს ეპარქია თუშეთსა და ფშავ- ხევსურეთსაც აერთიანებდა და დიდად იღვწოდა წარმართი და ურჩი მთიელების მოსაქცევად. თავდაპირველად, მრავალი საუკუნის განმავლობაში აქ მამათა მონასტერი იყო, აღმოსავლური ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთი კერა, სადაც დარბაისელი და კეთილგონიერი მწერლები, მწიგნობრები და კალიგრაფები დაივანებდნენ ხოლმე— ფილიპე ალავერდელი, ზებედე მთავარეპისკოპოსი, ნიკიფორე ირბახი და სხვანი. გვიან შუა საუკუნეებში კი დედათა მონასტერიც დაუარსებიათ, სადაც მონაზვნად აღკვეცილი სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ, მათ შორის ნიჭიერებითა და ჭკუა—გონებით განთქმული მარიამ (მაკრინე) ბაგრატიონი. ალავერდელი ეპისკოპოსები მონასტრის მამადაც (წინამძღვრად) ითვლებოდნენ.

საქართველოში მრავალ ჩინებულთა შორის არის რამდენიმე რჩეული ტაძარი. მათ ისტორიულ-რელიგიური მისია ატარეს და, ამავდროულად, იქცნენ მხატვრულ-ესთეტიკურ სახე-ხატებადაც, რომლებიც ჩნდებიან პოეზიაში, ფოლკლორში, ფერწერაში, და კინემატოგრაფშიც კი. ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, ვარძია, ბეთანია, ლაშარის წმინდა გიორგი და ა.შ. მათ შორისაა ალავერდიც. ვინ მოსთვალოს ასწლეულთა მანძილზე ამ ტაძრისა და მისი ყმა-მამულების დამრბევ დამპყრობელთა რიცხვი ან რჯული— მომთაბარე თურქმანები, სისასტიკით განთქმული აბას I თუ დაუნდობელი, მოთარეშე ლეკები... მაგრამ ასევე ვინ აწონოს მადლი ღვთისა, ალავერდის თავზე გადმოსული, რომლის წყალობით ახლაც, XXI საუკუნეში, იქ კვლავაც აღევლინება წირვა-ლოცვა.

მარინა ყიფშიძე.

გილოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო გულითადად ულოცავს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთ პროფესიულ დღესასწაულს — მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს 5 ოქტომბერს.

უსურვებს წარმატებებს პირადსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სპმთკ-ს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.

გიორგი ჭალასახაძეს!

ჩვენო ვარსკვლავიჩუნავ! წლევანდელი სექტემბრიდან შენ გახდი მოსწავლე იმ სკოლისა, შენმა პაპამ 45 წლის წინ რომ დაამთავრა. ასეა, სკოლა აკავშირებს თაობებს, თაობები კი ქმნიან მის ისტორიას. გახსოვდეს, წიგნი არის ცოდნის წყარო, სკოლა – განსწავლულობის მცირე სამყარო!

გიორგი, ჩვენო პირველკლასელო ბიჭუნავ! გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!

ლილი ბაბო და ამი პაპა.

განცხადება

კასპის რაისამომხმარებლო კოოპერატივის მეპაითა საყურადღებოდ!

2015 წლის 15 ოქტომბერს დღის 13 საათზე რაიკოოპერატივის ადმინისტრაციის შენობაში, ქ. კასპი, კოსტავას ქ. №2, ტარდება რაიკოოპერატივის მეპაითა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. კასპის რაისამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. გამგეობის დადგენილებების დამტკიცება, რომლებიც წესდების შესაბამისად საჭიროებს კრების მიერ დამტკიცებას;
3. რაიკოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოების (გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისია) არჩევნები;
4. განცხადებების განხილვა.

კასპის რაისამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“

როდის ცქრიან მართვევები...

*დასასრული

უკეთ იასპარეზეს 50-ზე მეტი კილოგრამის წონაში: ჩემპიონობა მოიპოვა ბექო გორგაძემ, ხოლო მესამე ადგილი დაისაკუთრა გიორგი ხინიზოვმა. ... და ერთი საგულისხმო ფაქტიც: თვითონ შეჯიბრების ადრესატი, არა მარტო როგორც ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, არამედ როგორც მამა, ყველაზე მეტად გულშემატკივრობდა საკუთარ პირმშოს — უმცროს ოთარ ყურაშვილს (რომელმაც ძალები მოსინჯა 50-კილოგრამამდე წონის თანატოლებში). ორგზის ფალავნის ძემ საპატიო მეორე ადგილი დაიმარჩუნა... ამ ჯერზე ეს იყოს, ხვალ და ზეგ მისი რიგიც მოვა, დრო სწრაფად გადის... რაინდების, ფალავნებისა და არწივების მართვეები ჩვენს თვალწინ თითქოსდა შეუმჩნევლად იბუმბლებიან, ფრთიანდებიან, გამარჯვების გზებით ჩემპიონთა და გამარჯვებულთა კვარცხლბეკისაკენ მიისწრაფვიან... მარჯვი და მრე — ჩვენს მართვეებს!

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

შვილები: ირინა, ლელა, სიძეები ჯაბა კვაშილავა, ბორის მაჭავარიანი, შვილიშვილები: თიკა, კონსტანტინე, ლიზი, გეგა, და მაია, ძმა მერაბი, ბიძა გიორგი, დეიდა ციური ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მარინე მერებაშვილი.

კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგი მარინე მერებაშვილი.

ახალქალაქის საჯარო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგი მარინე მერებაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შ.პ.ს. „ბესიკ ნიპარიშვილი“ მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია თანაუგრძნობს მაია მერებაშვილს დის მარინე მერებაშვილის გარდაცვალების გამო.

ნანა და გიო მერებაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მარინე მერებაშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ცირა ჩიტიშვილი

შვილო, ცირა, ჩვენო საყვარელო, დატანჯულო გოგო, უკვე შვიდი წელია, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს, თხუთმეტი ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა.

წელს ორმოცდახუთი წლის გახდებოდი.

სევდას და ტკივილს, ანგელოზი შვილის, ჩვიდმეტი წლის ალეკოს (რომელსაც 15 სექტემბერს 25 წელი შეუსრულდებოდა) დაკარგვას ველარ გაუძლო შენმა გულმა. შვილის დაკარგვიდან მხოლოდ თერთმეტი თვე იცოცხლე, მაგრამ ვაი, იმ სიცოცხლეს... წახვედი შენს ერთადერთ, სანატრელ შვილთან და დაგვიტოვე დიდი მწუხარება.

შვილო, ცირა, შენი დამწუხრებული, ძაძებით მოსილი დედა უფალს ავედრებს თქვენს სულებს, ყველანი თქვენზე ვლოცულობთ, შევთხოვთ უფალს სიმშვიდე და ნეტარება არ მოაკლოს თქვენს ლამაზ სულებს და დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ღმერთს ებარებოდეთ შვილებო!

დეიდები.

მალხაზ მორბედაძე

შენმა უეცარმა დაკარგვამ თავზარი დაგვცა. ჩვენო ერთგულო და დაუვიწყარო ადამიანო, ჩვენო მალხაზ, სამუდამოდ წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი, ცრემლი. შენ ხომ მოსიყვარულე და მზრუნველი მამა იყავი, მართალია, თვალით ველარ გხედავთ, მაგრამ ფიქრით მუდამ ჩვენთან ხარ, თითქოს ჩვენს გვერდით ფუსფუსებ და საქმიანობ... შენებურად ესიყვარულები შენს საფიცარ შვილიშვილებს, მათეს და ნუცას, რომლებიც სინანულით შეჰყურებენ ნაადრევად დაკარგული პაპის სურათს და სიყვარულით იხსენებენ შენს სახელს. ჩვენო მალხაზ, შენ კარგი ადამიანის სახელით იცხოვრე, იყავი სამაგალითო შვილი და ძმა, ბიძა, ერთგული მეუღლე და მოსიყვარულე მამა, როგორ ელოდი და ოცნებობდი, რომ პატარა ნუცა სკოლაში შენ მიგეყვანა, მაგრამ თითქოს, დედისა და ძმის სიკვდილი არ იყო საკმარისი ჩვენი ოჯახისთვის, ახლა არ დაგცალდა, მოულოდნელად წაგვართვა შენი თავი უფალმა, მასაც საუკეთესოები სდომებია თურმე. ყველას ენანები მალხაზ, შენ ხომ სულ ახლახან შეგისრულდა 51 წელი, რა ვქნათ, რით გავიქარვოთ ეს საშინელი განცდა. არადა, რა ძნელი ყოფილა ოჯახიდან წასულების გამო გამოწვეული ტკივილის განელება. გვჯერა, რომ თქვენი ლამაზი სულები ჩვენთვის ლოცულობენ, სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა.

ოჯახი.

ტარიელ გასიტაშვილი



ხანდახან ხსოვნა აგტკივდება... ეს ტკივილი, მძაფრი და ძნელად გასაყუჩებელი, განსაკუთრებით იმ დღეებში ძლიერდება, როცა გახსენდება: რა და როგორ იყო მაშინ, როცა „ისიც“ ჩვენს გვერდით ცხოვრობდა. და ხვდები, რომ არის ჭრილობა, ვერა სალბუნი რომ ვერ აშუშებს, ვერც დროთა მსვლელობა აფერმკრთალებს ხსოვნის სიმძიმეს.

30 სექტემბერს 58 წლის გახდებოდი, ტარიელ!

გარდაცვალებიდან უკვე ორი წელი გასულა ...

ერთადერთი, რასაც ჩვენი ნუგეში შეუძლია, ის არის, რომ შენი ცხოვრება არასოდეს ყოფილა ფერმკრთალი და შეუმჩნეველი, შენი არსებობის მოკლე დროის არც ერთ მონაკვეთში: ბავშვობიდანვე შენი საკუთარი ტკივილით, მაგრამ გამორჩეული გონებით დაამახსოვრე თავი სკოლას, პედაგოგებს, თანაკლასელებს. სტუდენტობაშიც მკვეთრად გამოხატულ პიროვნებად შემორჩი ლექტორებსა და თანაკურსელებს.

როცა სამშობლო დამოუკიდებლობის გზას დაადგა, შენ მაშინაც მყარი პოზიცია დააფიქსირე და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულობდი საკუთარ ცხოვრებისეულ კრედოს! ... შემდეგ იყო დამზადების კანტორა, გამგეობა, ხან უმუშევრობაც...

ფენომენალური მეხსიერების წყალობით, შენი ღრმა ერუდიციითა და ინტელექტით, ადამიანურ ურთიერთობათა უკვე ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთულმა ჩვენს ქალაქს დაუტოვე საკუთარი ნიშა - ტარიელ გასიტაშვილი! მოქალაქეობრივი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვითა და ცხოვრებისეული პრინციპების ჯიუტად არშეცვლით სულ გვიმტკიცებდი: მატერიალურ ფასეულობებზე მაღლა მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები რომ უნდა დაგვეყენებინა!

ნეტავ ვინმე კიდევ ყიდულობს კასპის საგაზეთო ჯიხურებში კროსვორდების კრებულს „ფანტაზია“? რამდენი განსწავლული მეგობარი შეიძინე კროსვორდების ამოხსნის მოყვარულთა საზოგადოებაში შენი პირველადგილოსნობით და როგორ გიყვარდა მათთან ყოფნა.

გულიც ბევრჯერ გატკინა ცხოვრებამ, მაგრამ ცოტა ბედნიერებით დახუნძლული დღეებიც ხომ გვქონდა - მეუღლით, შვილებითა და შვილიშვილებით ხომ ხარობდი, იშვიათი ერთგულებითა და ადამიანური სითბოთი გამორჩეულო!

შენი ოჯახი ქედს იხრის შენი ხსოვნის წინაშე და გვჯერა: შენ მანდედანაც გვეხმარები, დავძლიოთ უშენოდ არსებობის სევდა და სირთულეები.

უფალს ებარებოდე!

ოჯახი.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76